# ფიზკულტურული სალამი საქართველოს კომკავშირის XXVI ყრილობის მონაწილეებს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 34 (3011)

1966 წ. 17 თებერვალი. ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спор...вных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

## ა. მეტრეველმა მოუგო თ. ლეიუსს

### თბილისელთა წყვილი — I ადგილზე

კიევი, 16 თებერვალი. აქ დამთავრდა ჩვენი ქვეყნის ჩოგბურთელთა ზამთრის პირველობა. ქალთა წყვილებში პირველ ადგილს ერთმანეთს ეცილებოდნენ თბილისელები ერმოლოვა — ივანოვა და მოსკოველები პოტანინა — ისკაკოვა. გაიმარჯვეს საქართველოს წარმომადგენლებმა — 6.4, 6:4. III ადგილი დაიკავა აბეჯანიძე — სიმსონის წყვილმა.

ვაჟთა წყვილებში გამარჯვება იზეიმეს ლეიუსმა და ლიხაჩოვმა, რომლებმაც ძლიეს მოზერ — სივოხინის დუეტს.

ასპარეზობის ბოლო დღეს გამოირკვნენ გამარჯვებულნი ქალთა და ვაჟთა ერთეულებსა და შერეულ წყვილებში. კიეველმა ბაკშეევამ მოუგო ტალინელ კივის — 6:1, 6:4.

ვაჟთა ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ძველი მეტოქენი — ლეიუსი და მეტრეველი. გაიმარჯვა ქართველმა სპორტსმენმა — 5:7, 6:4, 6:4, 6:1.

შერეულ წყვილთა ფინალში ბაკშეევამ და ლეიუსმა მოუგეს ისკაკოვა — ბოროვსკის — 3:6, 6:2, 6:0.





## საინფორმაციო ცნობა

### საქართველოს სპორტკავშირის VI პლენუმის შესახებ

გუშინ თბილისში გაიმართა საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს VI პლენუმი. დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი:

1. მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესებისა და სოფლად სპორტულ ნაგებობათა მშენებლობის გაფართოების თაობაზე ზემდგომი ორგანოების მიერ მიღებულ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობა;

2. ფიზკულტურის კოლექტივებში, რაიონებსა და ქალაქებში IV საიუბილეო სპარტაკიადის ჩატარების სამზადისის მიმდინარეობა.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ. მეორე საკითხისადმი მიძღვნილი მოხსენებებით გამოვიდნენ აფხაზეთის ასსრ სპორტკავშირის თავმჯდომარე ჯ. გუბაზი, აჭარის ასსრ სპორტკავშირის თავმჯდომარე შ. მჟავანაძე, სამხრეთ ოსეთის საოლქო სპორტკავშირის თავმჯდომარე ა. თედეევი, ორჯონიკიძის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე ა. მაჭავარიანი, ცაგერის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე გ. ხვადაგიანი, ახალქალაქის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე კ. ოვანოღლიანი, თეთრიწყაროს რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე შ. ოქრიაშვილი, „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ვ. ჟღენტი, „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ი. ბოჭორიძე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ე. გოკიელმა, ქუთაისის სპორტკავშირის თავმჯდომარემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ლ. ახვლედიანმა, თბილისის განათლების განყოფილების ინსპექტორმა ა. გაბათაშვილმა, თბილისის ფეხსაცმლის საწარმო გაერთიანება „ისნის" საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. აფციაურმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბ. პაიჭაძემ.

პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.

• • •

სურათზე: პლენუმის მონაწილენი (მარცხნიდან მარჯვნივ) — ლ. ახვლედიანი, ფოთის სპორტკავშირის თავმჯდომარე ო. კემულარია, გორის სპორტკავშირის თავმჯდომარე გ. მეყანწიშვილი და შ. მჟავანაძე შესვენების დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## დ ე ლ ე გ ა ტ ე ბ ი

დღეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში იხსნება ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირის XXVI ყრილობა. ჩვენი ჭაბუკები და ქალიშვილები სიხარულით ელოდნენ ამ დღეს. და ეს ბუნებრივიცაა: XXV ყრილობიდან დღემდე განვლილ პერიოდში მათ ბევრი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს კომკავშირულ საქმეთა გმირულ მატიანეში. ისინი ახლაც მოწინავეთა რიგებში დგანან. ყველგან — ფაბრიკა-ქარხნებში თუ ტრანსპორტზე, საკოლმეურნეო მინდვრებში და პლანტაციებში თუ ყამირზე, საშუალო სკოლებში თუ უმაღლეს სასწავლებლებში, საკვლევ ლაბორატორიებსა თუ სპორტულ სარბიელზე — ჩვენს ჭაბუკებსა და ქალიშვილებს თავიანთი წვლილი შეაქვთ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში. ახალგაზრდობა ყველგან თავის მედგარ სიტყვას ამბობს, იგი მუდამ ვაჟკაცური შემართებით ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

ყრილობის მონაწილენი დღეს ილაპარაკებენ თავიანთ საქმეებზე. საჭირბოროტო საკითხებზე, დასახავენ უკეთ მუშაობის გზებს. ყრილობის დელეგატებს შორის იქნებიან ჩვენი რესპუბლიკის სახელგანთქმული სპორტსმენები ნ. გაფრინდაშვილი, ო. ფხაკაძე, გ. სალარაძე, რ. რურუა, ა. ქიბროწაშვილი, ჯ. აბაიშვილი, მ. ოყროშიძე, ნ. ალექსანდრია... ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა საუბრები მათთან. სპორტსმენებმა გაგვიზიარეს, თუ რას ელიან რესპუბლიკის კომკავშირელთა ფორუმისაგან.

აი, კიდევ 3 სპორტსმენი-დელეგატიც — ტანმოვარჯიშე ა. ჯანუყაშვილი, ჩოგბურთელი ა. მეტრეველი და კალათბურთელი ზ. საკანდელიძე. ამ სურათებზე სწორედ ისინი არიან აღბეჭდილი. სპორტსმენი დელეგატები იმედიანად შეჰყურებენ საქართველოს კომკავშირელთა ფორუმს, მათაც აქვთ თავიანთი „სუბიექტური" სურვილები — გაფართოვდეს საწვრთნელი ბაზები, ყველა კუთხეში ფართოდ გაიშალოს მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა...






ფოტოსურათები ბ. სვეტლანოვის, ი. იუნაევისა და საკდესისა.

# უხვი მოსავალი



სურათზე: საქართველოს ჩემპიონი ორჭიდში გ. თვაური ტრამპლინიდან ხტომის დროს.

ახლა, როცა უკან დარჩა საქართველოს ზამთრის II სპარტაკიადა, საშუალება გვეძლევა ღრმად შევისწავლოთ მისი შედეგები. შევიხედოთ, ასე ვთქვათ, კულუარებშიც და ფარდა ავხადოთ თვალის ერთი გადავლებით იმ შეუმჩნეველ, მაგრამ სერიოზულ ხარვეზებს, რომლებმაც ჩრდილი მიაყენა საერთო საქმეს.

ამ წერილში ტექნიკურ შედეგებზე საუბარი ზედმეტად მიგვაჩნია, ვინაიდან მათს შესახებ თავის დროზე ვწერდით. დავუმატებთ მხოლოდ, რომ მსგავსი მაღალი მაჩვენებლები არ ახსოვს საქართველოს სათხილამურო სპორტის ისტორიას. სპორტის ოსტატის 7, ოსტატობის კანდიდატის 26 და I თანრიგის 99 შედეგი ერთობ ბარაქიანი მოსავალია. თუ იმასაც ვიტყვით, რომ ორმა პირველად შეასრულა ოსტატის ნორმა, 11-მა — ოსტატობის კანდიდატის, ხოლო 27-მა — I თანრიგისა, ცხადი გახდება, რომ მართლაც, დიდი მოსავალი მოვიმკეთ. ამ მაღალი მაჩვენებლების ავტორებად უმეტესად გვევლინებიან ახალგაზრდები, რაც ძალიან საიმედო მომავალს გვისახავს. ონის რაიონის სოფელ გლოლის საშუალო სკოლის მოსწავლე ნარგიზა ბალაშვილმა ჯერ კიდევ შარშანწინ გამოიჩინა თავი: მაშინ 15 წლის გოგონა უფროსებსაც კი არ უდებდა ტოლს. წლეულს კი 5 კილომეტრზე რბენაში მან არა მარტო მოიგო თანატოლთა ტურნირი, არამედ III შედეგი აჩვენა ქალთა შორის. ბალაშვილისგან უკეთეს შედეგს ელოდნენ 10-კილომეტრიან რბოლაში, მაგრამ მსაჯთა კოლეგიამ... ასაკის სიმცირის გამო გოგონას არ მისცა სტარტზე გასვლის უფლება და ეს მაშინ, როცა სწორედ ფიზიკური სრულყოფისა და ტექნიკური მომზადების მიხედვით იგი ამ დისტანციაზე დაუშვეს ზუსტად 2 წლის წინათ. გოგონათა შორის გამოვლინდა ბევრი პერსპექტიული სპორტსმენი: ბაკურიანელები— მორბენალი ლ. ხაჩიძე, სამთო-მოთხილამურენი მ. თვაური, მ. გაგა და სხვ.

გაცილებით მეტ იმედს იძლევიან ჭაბუკები. მესტიის გუნდის წევრებმა — იფარელმა მოსწავლე თ. გულბანმა და მულახელმა მოსწავლე რ. ჯაფარიძემ, სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელმა ა. გორბაჩოვმა, ბაკურიანელმა მოსწავლემორბენლებმა ბ. ქუმარიტაშვილმა და ი. ნასყიდაშვილმა, ახალქალაქელმა მ. ზონარიანმა I თანრიგის ნორმატივი შეასრულეს. ბაკურიანელი სამთო-მოთხილამურე ი. ნასყიდაშვილი ოსტატობის კანდიდატი გახდა. მალე კარგ სამთო-მოთხილამურეებად ჩამოყალიბდებიან დ. თვაური, ვ მიქაბერიძე, ბ. მჭედლიანი და სხვ.

თუ თბილისის, ბორჯომის, მესტიის, სამხრეთ ოსეთის კოლექტივებმა ბრძოლისუნარიანი სპორტსმენები გამოიყვანეს, ამას სხვებზე ვერ ვიტყვით. მაგალითად, რუსთავის ჭაბუკთა გუნდის წევრმა გ. გელაშვილმა 10 კილომეტრის გარბენას თითქმის 1 საათი მოანდომა (52.29,0), 18 წუთით მეტი, ვიდრე გამარჯვებულმა თ. გულბანმა. ეს ორი სპორტსმენი იყო ჭაბუკთა შორის 15 კმ-ზე რბოლის ცხრილის თავსა და ბოლოშიც. ამჯერად მესტიელს რუსთაველი 27 წუთით ჩამორჩა, ამავე დისტანციაზე ვაჟთა ასპარეზობაში კი გორელმა ზ. ხაიკაშვილმა („ბურევესტნიკი") 30 წუთით წააგო გამარჯვებულ ზ. გულბანთან.

უფრო სავალალო მდგომარეობა იყო 50 კმ-ზე რბენაში. ახალქალაქის გუნდის წევრი ა. პერკოვსკი მის გარბენას მოუნდა... 5 საათსა და 11 წუთს, ე. ი. თითქმის ორჯერ მეტს, ვიდრე ჩემპიონი ნ. ბიტიუკოვი. ოთხმა სპორტსმენმა კი საერთოდ ფინიშამდეც ვერ მიაღწია.

საინტერესოა, რისთვის ჩამოვიდა სპარტაკიადაზე ცაგერელი გ. კოპალიანი („კოლმეურნე"), თუ იგი რბენას ვერც 15 კილომეტრზე დაამთავრებდა და ვერც 50 კილომეტრზე?! გუნდის ინტერესებისთვის ოფლის ღვრის ნაცვლად, 10 კმ-ის გარბენის შერე კოპალიანი კონტროლიორებთან ერთად... ცეცხლს ეფიცხებოდა.

ქალებსა და გოგონებშიც ნახავდით ცუდად მომზადებულებს. მაგალითად, გორელი გოგონა მ. გასვიანი 16 წუთით გვიან მივიდა 5 კილომეტრზე რბენის ფინიშთან, ვიდრე ბალაშვილი.

# კარგი სიმპტომები

## აქედანვე ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის

10 წელიწადზე მეტია, რაც ყოველ თებერვალს ეწყობა საქართველოს მოცურავეთა შეჯიბრება. წლეულს ამ ტრადიციულ ტურნირს სასიამოვნო სიურპრიზი „ელოდა" — იგი პირველად გაიმართა ვაკის ახალ საცურაო აუზში. სწორედ ამ ნაგებობის მწყობრში ჩადგომამ განაპირობა სპორტსმენთა მზადყოფნა ახალი სეზონის პირველივე სტარტისთვის — მათ ხომ სრულწლიური ვარჯიშის კარგი პირობები შეექმნათ!

ტურნირში მონაწილეთა უმრავლესობას შეადგენდა ახალგაზრდობა, რომლისგანაც უნდა დაკომპლექტდეს ჩვენი ნაკრების ძირითადი ბირთვი სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში მონაწილეობისთვის. ნაკრების კანდიდატები და კანდიდატობის მაძიებლები ვაჟკაცური შემართებით ებრძოდნენ ვეტერანებს და ზოგჯერ კიდევაც ჯობდნენ მათ. ერთი სიტყვით, ასპარეზობის შედეგებით (განსაკუთრებით ვაჟებში) კმაყოფილი ვართ და უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ მაჩვენებლებს მოცურავეები საკავშირო ტურნირამდე საგრძნობლად აამაღლებენ.

ერთგვარი წინსვლა იგრძნობა ქალებშიც, მაგრამ მათ ჯერჯერობით კიდევ ვერ მიაღწიეს სასურველ დონეს. კვლავ არ ჩანს ბილიკებიდან წასული ე. შავდიას, ე. ღიბრაძის, ა. არკადიევას, ლ. კრილოვას, ი. ჩუგუევსკაიას ღირსეული ცვლა. ჩემი აზრით, ეს საკმაო ნიშანია საიმისოდ, რომ მწვრთნელებმა ახლავე გამოიტანონ სათანადო დასკვნები და მეტი იზრუნონ არა მარტო ქალთა რეზერვების აღზრდის, არამედ, საერთოდ, სპრინტერებთან მუყაითი საქმიანობის გაშლისთვის.

ქალთა სიმცირე განსაკუთრებით იგრძნობოდა ბატერფლაით, ზურგზე და კომპლექსურ ცურვაში. პირდაპირ სამარცხვინო ფაქტია, რომ რესპუბლიკაში მხოლოდ 4-4 სპორტსმენი მოიძებნა, ვინც ზურგზე და ბატერფლაის სტილით 200 მეტრზე ცურვაში ჩაბუდა ჩაბმა. სხვა სახეობებში სამდურავი არ გვეთქმის. ბრასის სტილით 100 მეტრზე ცურვაში კი სამივე პრიზიორმა აჩვენა I თანრიგის შედეგი! სეზონის დასაწყისისთვის კარგად მომზადებულან თბილისის დინამოელები ნ. ჭუმბაძე, ნ. ჩუგუევსკაია, ვ. ანიკინა, ნ. ქიგალიოვა, განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტსკოლის აღსაზრდელი, 15 წლის ე. მძინარიშვილი და სხვ.

რაც შეეხებათ ვაჟებს, უნდა აღინიშნოს, რომ იმატა მარათონულ მანძილზე მოცურავეთა რიცხვმა. 1.500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში თუ ადრე 2-3 სპორტსმენი გამოდიოდა, ამჯერად ასპარეზობდა 16 ჭაბუკი, თანაც ვაჟებმა მთელს შეჯიბრებაში აჩვენეს ოსტატობის კანდიდატის 7 და I თანრიგის 17 შედეგი.

არაერთი წელია საქართველო სათანადო შევსებას აძლევს სსრ კავშირის ბრასისტთა ნაკრებს და ეს ტრადიცია, ვფიქრობ, კვლავაც გაგრძელდება. მაგალითად, ი. კირდიანოვისა და ვ. პესტერიოვის სახით, იმედია, ორ მოცურავეს მაინც გავამგზავრებთ მეხიკოს ოლიმპიადაზე. უნდა ვუსაყვედუროთ ბ. ნიკიტინს. იგი დღემდე ვერ შეეგუა საწვრთნელ რეჟიმს, ამიტომაც 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ჯოუმზადებელი გამოვიდა (II ადგილი დაიკავა), სხვა დისტანციებს კი უბრალოდ თავი აარიდა.

შეჯიბრებამ ცხადყო აჭარის მოცურავეთა წინსვლაც. სამაგიეროდ, ტურნირში მონაწილენი არ გამოიყვანეს რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების სპორტკავშირებმა.

**ხ. კალანდაძე,**

საქართველოს მთავარი მწვრთნელი ცურვაში.



სურათზე: თბილისის 112-ე საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელი ნ. ჭუმბაძე შეჯიბრების შემდეგ.

ფოტო ა. ხაიკოვისა.

# სახელები, სპორტსმენი და შედეგები

**ქალები.** თავისუფალი სტილი: 50 მ — ნ. ჩუგუევსკაია — 31,7, მ. ქაჯაია — 32,0, ლ. ოსიპოვა (სამივენი — თბილისი, „დინამო") — 32,5; 100 მ — ნ. ჩუგუევსკაია — 1.10,9, ლ. ოსიპოვა — 1.12,6, ი. ოვჩინნიკოვა (თბილისი, განათლების განყოფილება) — 1.18,0; 200 მ — ნ. ჩუგუევსკაია — 2. 42,8, ლ. ოსიპოვა—2.44,1, ც. ჩიტაიშვილი (თბილისი, „დინამო")—3.01,6; 800 მ—ნ. ჩუგუევსკაია — 12.28,3, ლ. ოსიპოვა — 12.40,7, ვ. ანიკინა (თბილისი, „დინამო") — 13.10,0. **ბრასი:** 50 მ —ვ. ანიკინა — 40,0, ე. მძინარიშვილი (თბილისი, განათლების განყოფილება)—40,2, ვ. ბახი (თბილისი, „დინამო") — 43,4; 100 მ—ვ. ანიკინა — 1.27,3, ე. მძინარიშვილი — 1.30,0, ე. ტროიანოვსკაია (თბილისი, „დინამო") — 1.30,4; 200 მ— ვ. ანიკინა — 3.07,3, ე. ტროიანოვსკაია— 3.16,0, ე. მძინარიშვილი — 3.19,6. **ზურგზე:** 50 მ — ნ. ჭუმბაძე — 36,3, თ. ლეკვეიშვილი (ორივენი — თბილისი, „დინამო") — 36,6, ვ. ბახი — 38,7; 100 მ — ნ. ჭუმბაძე — 1.18,7, თ. ლეკვეიშვილი— 1.23,7, ვ. ბახი — 1.26,3; 200 მ — ნ. ჭუმბაძე — 2.53,4, ვ. ბახი — 3.04,9, მ. სალარაძე (თბილისი, განათლების განყოფილება) — 3.11,4. **ბატერფლაი:** 50, 100 და 200 მ — ნ. ქიგალიოვა — 34,7; 1.16,4; 3.00,7, მ. ქაჯაია — 35,7; 1.25,5; 3.24,6, რ. გოჩიტაშვილი (სამივენი — თბილისი, „დინამო") — 38,2; 1.28,0; 3.27,3. **კომპლექსური:** 200 მ — ვ. ბახი — 3.05,6, ი. ეფიმოვა (თბილისი, განათლების განყოფილება) — 3.13,4, მ. ღიბრაძე (თბილისი, „დინამო")— 3.16,2.

**ვაჟები.** თავისუფალი სტილი: 50 მ — გ. კარბუკოვი — 26,9, ბ. ნიკიტინი — 27,1, ა. იოაკიმიდი (სამივენი — თბილისი, „დინამო") — 27,2; 100 მ — გ. კარბუკოვი — 59,4, ა. არტამონოვი (ბათუმი, „დინამო") — 1.01,5, ა. პოლუნინი (თბილისი, „შრომითი რეზერვები") — 1.01,5; 200 მ — ა. იოაკიმიდი— 2.12,2, ვ. ონუფრიენკო (თბილისი, „შრომითი რეზერვები") — 2.21,2, ა. პოლუნინი — 2.24,1; 1.500 მ — ა. იოაკიმიდი — 18.56,7, ჰ. შიხიკიანი (თბილისი, „დინამო") — 20.11,8, ვ. მუდიაკი (თბილისი, ასკ) — 20.16,3. **ბრასი:** 50 მ — კ. ონისიმოვი — 34,1, ი. კირდიანოვი — 34,1, ვ. პესტერიოვი (სამივენი — თბილისი, „დინამო") — 34,5; 100 მ — ი. კირდიანოვი — 1.15,0, კ. ონისიმოვი — 1.16,4, ვ. პესტერიოვი — 1.16,4; 200 მ — ვ. პესტერიოვი — 2.43,3, ი. კირდიანოვი— 2.47,6, კ. ონისიმოვი — 2.48,7. **ზურგზე:** 50 მ — ე. ხიმჩიანი — 32,5, გ. კასატკინი — 32,6, ა. ხეხტოიანი (სამივენი — თბილისი, „დინამო") — 33,8; 100 მ — ჰ. შიხიკიანი — 1.10,4, ე. ხიმჩიანი — 1.11,8, გ. კასატკინი — 1.13,3; 200 მ — ა. ხეხტოიანი — 2.38,0, ს. კრავცოვი — 2.38,4, გ. კასატკინი — 2.40,6. **ბატერფლაი:** 50 მ — რ. კრისანოვი — 30,3, ვ. დოლინსკი —30,5, ჰ. შიხიკიანი (სამივენი — თბილისი, „დინამო") — 31,3; 100 მ — რ. კრისანოვი — 1.07,5, ვ. დოლინსკი — 1.08,1, ა. იოაკიმიდი — 1.08,8; 200 მ — ვ. დოლინსკი — 2.31,4, რ. კრისანოვი— 2.41,4, რ. მკრტჩიანი (თბილისი, „შრომითი რეზერვები") — 3.28,0. **კომპლექსური:** 200 მ — ჰ. შიხიკიანი — 2.30,5, ე. ხიმჩიანი— 2.38,0, ა. ხეხტოიანი — 2.42,5.

# რა მიზანს ემსახურება ჩემპიონატი, თუ არა...

სოხუმელთა დიდი ინტერესი გამოიწვია საქართველოს სამბისტთა იქ გამართულმა გუნდურმა პირველობამ, რომელშიც მონაწილეობდნენ აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისის, გორის, კასპისა და მცხეთის ნაკრები კოლექტივები.

წინასწარ შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდნენ აჭარის, თბილისის, გორისა და კასპის მოჭიდავენი. მათ მოიპოვეს ფინალში ჭიდილის უფლება. ბრძოლა რესპუბლიკის ჩემპიონის სახელისთვის დასკვნით ეტაპზე წრიული სისტემით ჩატარდა. ყურადღების ცენტრში იყო თბილისისა და გორის გუნდების შეხვედრა, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა გამარჯვებულის საკითხი.

თავდაპირველად დაწინაურდნენ თბილისელები: ყაყიჩაშვილმა და ნახუცრიშვილმა დაამარცხეს გორელი სამბისტები — ჩუხრუკიძე და შუკულოვი და გუნდს 2 მომგებიანი ქულა შესძინეს. თბილისის ნაკრების უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა გახდა მარტყოფლიშვილის გამარჯვების შემდეგ (მან წმინდად მოუგო იმერლიშვილს). მაგრამ აი, ხალიჩაზე გამოდიან მსუბუქი წონის ათლეტები— გორელი მაღალთაძე და თბილისელი ბეროშვილი და ანგარიშში სხვაობა მცირდება. წარმატებას აღწევენ გორელები მომდევნო წონაშიც: ბორჩაშვილი ამარცხებს მარგველანს. ანგარიში უკვე 2:3 გახდა.

საშუალო წონაში თბილისელ გამეღაღდიშვილს კიდევ უფრო წინ გაჰყავს თავისი გუნდი (მან მოუგო ბურჯანაძეს), მაგრამ მომდევნო წონით კატეგორიაში გორელები უბრძოლველად იღებენ ქულას, ვინაიდან თბილისის ნაკრებს მოჭიდავე გამოაკლდა. გორის გუნდს ანგარიშის გათანაბრების ერთადერთი შანსი დარჩა, მაგრამ თბილისელი კიკნაძის დამარცხებას ყაჩმაზიშვილი, რა თქმა უნდა, ვერ შეძლებდა. ასეც მოხდა: კიკნაძემ მოუგო მეტოქეს და კიდევ უფრო განამტკიცა თავისი გუნდის უპირატესობა. თბილისის სამბისტთა კოლექტივმა გაიმარჯვა (5:3) და მოიპოვა რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება. გორის გუნდი II ადგილზე დარჩა. III ადგილი მოიპოვეს კასპელებმა, ხოლო IV — აჭარის სამბისტებმა.

ჩემპიონატმა ბევრი ნიჭიერი ათლეტი გამოავლინა, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დ. ხორბალაძე (კასპი), გ. ძნელაძე (ბათუმი), გ. გიორგაძე (მცხეთა)...

შეჯიბრება ჩატარდა მაღალ ტექნიკურ და ორგანიზაციულ დონეზე, მაგრამ მან მონაწილეთა სიმრავლით ვერ გაგვახარა. საყვედურს იმსახურებენ საგარეჯოს, რუსთავისა და თელავის სპორტული ორგანიზაციები, რომლებმაც ტურნირზე გუნდები ვერ მიავლინეს. ეს მით უფრო გასაკვირია, რომ ამ ქალაქებში არიან საკმაოდ ძლიერი მოჭიდავეები და კვალიფიციური მწვრთნელები. საინტერესოა, სად უნდა გამოაჩინონ მათ თავიანთი მუშაობა, თუ არა რესპუბლიკურ პირველობაში? ჩემპიონატი გაცილებით მოიგებდა, აფხაზეთის მოჭიდავეებსაც რომ მიეღოთ მასში მონაწილეობა. სამწუხაროდ, ტურნირის ორგანიზატორებმა არასრული გუნდის გამოყვანაც კი ვერ შეძლეს.

**ჭ. ნინიაშვილი,**

სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# და... სარეველა

რუსთავის გუნდის წევრმა ვ გუდკოვამ კი ჩემპიონთან — კ. კეხბასთან 15 წუთით წააგო ქალთა შეჯიბრება ამ დისტანციაზე. საერთოდ, II ჯგუფის ზოგმა გუნდმა სპარტაკიადაზე ჩამოიყვანა არა მოთხილამურენი, არამედ.. მძლეოსნები ·კერძოდ, გორელმა ლ თოფჩიშვილმა („ბურევესტნიკი"), რომელიც პირველთანრიგოსანი მძლეოსანია, 5 და 10 კილომეტრზე რბენაში III თანრიგის შედეგიც კი ვერ აჩვენა.

საქართველოს ზამთრის I სპარტაკიადასთან შედარებით ამ ტურნირში გაცილებით კარგი შედეგები მოიპოვეს ბიატლონისტებმა, თუმცა საერთო დონე მაინც დაბალი იყო. სროლაში განსაკუთრებით აშკარად იგრძნობოდა მონაწილეთა უმრავლესობის მოუმზადებლობა. მესტიელმა ი. ვეზდენმა 20 კმ-ზე რბენაში VI შედეგი აჩვენა, სამიზნეს კი ვერც ერთი ტყვია ვერ მოახვედრა. რბენაში საუკეთესომ—ხ. კოზანაშვილმა (სამხრეთ ოსეთი) 14 ტყვია ააცილა სამიზნეს და 32 წუთით დაჯარიმდა. საერთოდ, ბიატლონისტთა ასპარეზობაში მონაწილე 13 სპორტსმენმა 260 გასროლიდან მხოლოდ 84 მოარტყა ნიშანში, მათგან მარტო 42 — ცენტრალურ წრეში.

სპარტაკიადის პროგრამაში შედიოდა ჰოკეისტთა ტურნირიც. ასპარეზობაში მონაწილეობდა სულ 4 კოლექტივი, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ეს სახეობა ჩვენში პერსპექტიულია. ოღონდ, ცხადია, ამ სახეობის მოყვარულებს წვრთნის სათანადო პირობები უნდა შევუქმნათ. ბუნებრივი საციგურაოების მოწყობა შედარებით იოლია ადიგენში, ბოგდანოვკაში, აბასთუმანში, ახალქალაქში, მესტიაში. ხოლო თუ თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა და რუსთავში ხელოვნური საციგურაოებიც მოეწყობა, საქართველოს ნაკრებს 4-5 წელიწადში შეეძლება საკავშირო სარბიელზე გასვლა. ბაკურიანის ტურნირმა გამოავლინა პერსპექტიული სპორტსმენები: ბაკურიანელები თ თედიაშვილი, ე. გვარამაძე, ი. ნასყიდაშვილი, ადიგენიდან ვ. მალალურიძე და გ. კალმახელიძე, თბილისელები გ. იზაშვილი, მ. ჩხენკელი, გ. ბურდული და სხვები, რომლებსაც კარგი ალღო და ფიზიკური მონაცემები აქვთ, ტექნიკა მათში თვითნაბადი სახითაა და დამუშავებას საჭიროებს.

ზოგიერთი გუნდის წარუმატებლობაზე, ცხადია, იმანაც იმოქმედა, რომ რაიონები ცუდად მარაგდება სათხილამურო ინვენტარით, სავაჭრო ორგანიზაციებს სარეალიზაციოდ შეაქვთ მაღალთანრიგოსანი სპორტსმენებისთვის უვარგისი თხილამურები. მაგალითად, მესტიის სპორტკავშირის თავმჯდომარე ბ. მჭედლიანმა წუხილით შემოგვჩივლა, რომ ბევრი მოთხოვნის მიუხედავად, რაიონში 3 წელია არ მიუღიათ ინვენტარი. იგივე დაადასტურეს ახალქალაქის სპორტკავშირის თავმჯდომარემ კ. ოვანდილიანმა და ადიგენის სპორტკავშირის თავმჯდომარემ შ. ჯეირანაშვილმა.

ახლა სპარტაკიადის ორგანიზაციულ მხარეზე. ზოგიერთმა ნაკლმა თავი იჩინა ტურნირის სტარტზევე. კერძოდ, ბაკურიანში არ ჩამოვიდა მთავარი მსაჯის მოადგილე სამედიცინო ნაწილში, რის გამო მისი პოსტი დაიკავა იღბლად იქ მყოფმა, სპარტაკიადის მონაწილემ, ექიმმა ა. დადვანმა. ერთგვარი ხარვეზებით ხასიათდებოდა არბიტრთა საქმიანობაც. იგრძნობოდა კვალიფიციურ მსაჯთა სიმცირე, რის გამოც კონტროლიორობას ხშირად ანდობდნენ შემთხვევით პირებს და წუნიც სახეზე იყო. და ეს მაშინ, როცა ბევრი მაღალკვალიფიციური ბაკურიანელი მსაჯი, ასე ვთქვათ, „თამაშგარე მდგომარეობაში" დარჩა.



სურათზე: 80 კილომეტრზე რბენაში III პრიზიორი ს. სტეპანკოვი დისტანციაზე.

სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ შედგა საქართველოს ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის II სპარტაკიადაში. ჩვენი გუნდები გამოვლენ სამთო-სათხილამურო სპორტსა და ტრამპლინიდან ხტომაში, ხოლო რამდენიმე მორბენალი — პირად ჩათვლაში.

ო. გელაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბაკურიანი — თბილისი.




ჩილის გუნდი მონაწილეობდა მსოფლიოს I ჩემპიონატში. აქ მან სძლია ფრანგებს — 4:0, მექსიკელებს — 3:0, მაგრამ წააგო არგენტინასთან (1:3) და ნახევარფინალში ვერ გავიდა. II და III ჩემპიონატებში ჩილი არ გამოდიოდა. IV გათამაშების ფინალში ამ გუნდმა წააგო ინგლისელებთან (0:2). ესპანელებთან (0:2) და მოუგო მხოლოდ აშშ-ის გუნდს (5:2).

V პირველობის შესარჩევ ჯგუფში ჩილიელები დამარცხდნენ ბრაზილიის (0:2, 0:1) და პარაგვაის (0:4, 1:3) გუნდებთან, ხოლო VI ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში — არგენტინელებთან — 0:2, 0:4.

ჩილი თვით იყო VII ჩემპიონატის ორგანიზატორი და ღირსეული შედეგითაც გამოვიდა ამ ძნელ შეჯიბრებაში — III საპრიზო ადგილი. მასპინძლებმა სძლიეს შვეიცარიას (3:1), იტალიას (2:0) და გფრ-ის გუნდთან წაგების (0:2) მიუხედავად, გავიდნენ მეოთხედფინალში. აქ მათ მოუგეს სსრ კავშირის გუნდს (2:1), მაგრამ ნახევარფინალში დამარცხდნენ მსოფლიო ჩემპიონებთან — ბრაზილიელებთან (2:4).

III ადგილისთვის დანიშნული მატჩი ჩილიმ მოუგო იუგოსლავიას — 1:0.

გუნდის მწვრთნელი ფ. რიერა შარშან შეცვალა მისმა ყოფილმა თანაშემწემ ჰორმასაბალმა, მაგრამ რიერამ შეინარჩუნა ნაკრების „კურატორის" (მზრუნველის) თანამდებობა.

ჩილიელთა შედეგები 1965 წელს ასეთია: 0:1 არგენტინასთან ბუენოს-აირესში, 0:0 ურუგვაისთან მონტევიდეოში, 1:1 ურუგვაისთან სანტ-იაგოში, 7:2 კოლუმბიასთან სანტ-იაგოში, 2:2 ეკვადორთან გუაიაკილში, 0:2 კოლუმბიასთან ბაუნაუკვილაში, 3:1 ეკვადორთან სანტ-იაგოში, 2:1 ეკვადორთან ლიმაში.

გოლების ავტორები არიან: ლ. სანჩესი (5), ფოლოქსი (3), მარკოსი, მენდესი, პინტო (2-2), კამპოსი (1).

1965 წელს გუნდში თამაშობდნენ: მეკარე გოდოი, მცველები — ეისაგუირე, დონოსი, გონზალესი, ფიგუეროა, ნახევარმცველები — კრუზი, პრიეტო, რეინოზო, თავდამსხმელები — ფოლოქსი, მარკოსი, კამპოსი, არაია, სანჩესი, იავარი, ველეზი, ლანდა.

ჩილიელებს განზრახული ჰქონდათ თავიანთი ცნობილი თავდამსხმელის ტოროს მოწვევა იტალიიდან, მაგრამ ამაზე მათ ხელი აალებინა ფ. რიერამ, რომელმაც იმოგზაურა ევროპაში და უკმაყოფილო დარჩა ტოროს თამაშით. ტორო, ჯერ ერთი, ხანში შევიდა და ძლივს ბოგინობს იტალიის II ლიგაში, მერე და, რაც მთავარია, სულ გადაეჩვია თავის ყოფილ ჩილიელ პარტნიორებს და გაუჭირდება მათთან ერთად გამოსვლა. სამაგიეროდ, ჩილის ნაკრებმა დაიბრუნა თავისი ცნობილი ნახევარმცველი როხასი, რომელიც არგენტინაში თამაშობდა. სწორედ როხასის დარტყმებმა მოუტანა ჩილიელებს გამარჯვება 1962 წელს სსრ კავშირისა და იუგოსლავიის გუნდებთან. დიდ იმედებს ამყარებენ ახალგაზრდა არაიაზე („დაიხსომეთ ეს სახელი!" — წერენ მიმომხილველები) და ცნობილ ცენტრალურ თავდამსხმელ ლანდაზე.

მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადება ჩილიში ინტენსიურად წარმოებს. ჰორმასაბალი აპირებს ამხანაგური შეხვედრების მოწყობას არგენტინისა და ურუგვაის გუნდებთან. იგი მოლაპარაკებას აწარმოებს ევროპის სხვადასხვა ნაკრებთანაც.



სურათზე: ჩილისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდების ნახევარფინალური მატჩი მსოფლიოს VII პირველობაზე. ბრაზილიელთა მარცხენა გარემარბის ზაგალოს (მარცხნივ) მიერ დარტყმულ ბურთს იგერიებს ჩილიელთა მცველი როდრიგესი. შუაშია მასპინძელთა ნახევარმცველი როხასი.

ფოტო ჟურნალ „სტადიონისა"
(ჩეხოსლოვაკია).

# მაღალ წოდებას გილოცავთ, ლევან ახვლედიანო!

სპორტულ სარბიელზე მან ფეხი წერაყინის შემწეობით შედგა. მრავალჯერ დაულაშქრია კავკასიონისა და პამირის პირქუში მწვერვალები და მეგობრებთან ერთად არაერთხელ უზეიმია დიდი გამარჯვება. ბოლო ხანს ლევან ახვლედიანი სათავეში ჩაუდგა ქუთაისის სპორტკავშირს და უნდა ითქვას, საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრის ფიზკულტურული ორგანიზაცია ერთ-ერთი მოწინავე გახდა ჩვენში—მეხუთედ დაიმსახურა საკავშირო სპორტკავშირის გარდამავალი დროშა.

ამ დღეებში სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების ცენტრალური საბჭოს დადგენილებით ცნობილ ქართველ მთამსვლელს ლ. ახვლედიანს მიენიჭა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

# დამსახურებულნი...

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის **საბჭოს** პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭათ: **ტანვარჯიშში** — შ. ლითანიშვილს (გორი, „ბურევესტნიკი"), ქ. დარსაველიძეს (ქუთაისი, „სპარტაკი"); **ტყვიით სროლაში** — გ. ბექთაშევს (თბილისი, „დინამო"); **წყალბურთში** — ხ. შაიდულოვს (თბილისი, „დინამო"); **მძლეოსნობაში** — ი. ჩიტაურს (დუშეთი, განათლების განყოფილება); **საცხენოსნო სპორტში** — ა. დარასელიას (სოხუმი, „კოლმეურნე").

# ემზადებიან

ჭადრაკში მსოფლიო პირველობის მატჩის მონაწილენი — ტ. პეტროსიანი და ბ. სპასკი ორთაბრძოლისთვის ემზადებიან. მსოფლიოს ჩემპიონმა ამას წინათ მონაწილეობა მიიღო დიდოსტატთა პატარა საწვრთნელ ტურნირში, სადაც დამაჯერებლად დაიკავა I ადგილი. საინტერესოა, რომ ამ ასპარეზობის პარტიები გამოქვეყნდება მხოლოდ მატჩის შემდეგ. პეტროსიანი ახლა იმყოფება თავის საყვარელ ადგილას — დასასვენებელ სახლ „არქიტექტორში".

ბ. სპასკი აგრეთვე ისვენებს დასასვენებელ სახლ „არქიტექტორში", მაგრამ არა მოსკოვსახლოს, არამედ ლენინგრადთან — ზელენოგორსკში. თავის მწვრთნელ ი. ბონდარევსკისთან ერთად იგი ემზადება საჭადრაკო ბატალიებისთვის. სპასკი მთელ დღეს ჭადრაკს უთმობს, ძილის წინ კი, 40-გრადუსიან ყინვაში, თხილამურებით დადის, რითაც აოცებს და აღაფრთოვანებს სხვა დამსვენებლებს.

თუ გავიხსენებთ, რომ თხილამურები მ. ბოტვინიკის საყვარელი სახეობაა, უნდა ვიფიქროთ, რომ სპასკი მეტად „საომრადაა" განწყობილი.

ა. გელერი,
სპორტის ოსტატი.
(ჩვენი კორ.).

ლენინგრადი.

# სხვადასხვა ქვეყნები

● შიენი (ნორვეგია). გასულ შაბათსა და კვირას ამ ქალაქის მახლობლად მდებარე ორ ტრამპლინზე გაიმართა „მფრინავ მოთხილამურეთა" დიდი საერთაშორისო შეჯიბრება, რომლის გმირებად მოგვევლინენ საბჭოთა სპორტსმენები. პირველ დღეს „სკოტფოსის" ტრამპლინზე ყველას აჯობა მოსკოველმა ა. ივანიკოვმა. II ადგილი დაიკავა საქართველოს წარმომადგენელმა კ. წაქაძემ, ხოლო III — ლენინგრადელმა პ. კოვალენკომ. IV ადგილზე გავიდა ნორვეგიელი პ. ვიიკი. „ოდბაკენის" ტრამპლინზე გამართული შეჯიბრება დამთავრდა პ. კოვალენკოს გამარჯვებით — 212 ქულა (ნახტომები — 71 და 74 მ). ნორვეგიელებმა ამ დღეს უკეთესი შედეგი მოიპოვეს: გამოცდილმა ტ. იგესეტმა II ადგილი დაიკავა — 205.3 (72 და 68.5 მ). III იყო გდრ-ის ერთ-ერთი საუკეთესო „მფრინავი მოთხილამურე" ხ. კვეკი — 202 (71 და 71.5 მ). ლენინგრადელი ი ზუბარევი IV ადგილზე გავიდა, კ წაქაძე — მეხუთეზე, მ. ვერეტენიკოვი (გორკი) — მეათეზე.

● ვენა. ციგურებით ფიგურული სრიალის შესანიშნავმა ოსტატმა, ევროპის ორგზის ჩემპიონმა რეგინა ჰაიტცერმა განაცხადა, რომ იგი თავს ანებებს სპორტს. ავსტრიის საციგურაო კავშირში ეს მოულოდნელი ამბავი ბომბივით გასკდა. და არა მარტო საციგურაო კავშირში! თანაც, 22 წლის ჰაიტცერმა არ ისურვა სპორტიდან წასვლის მიზეზების ახსნა და განაცხადა, რომ მის გადაწყვეტილებას წყალი არ გაუვა. ეროვნული ნაკრების ყველა წევრი უკვე გაემგზავრა დავოსს, მსოფლიო ჩემპიონატში სასპარეზოდ, ჰაიტცერი კი შინ დარჩა.

● კოშა წაქაძე—მეორე და... მეხუთე
● რეგინა ჰაიტცერმა თავი დაანება სპორტს

● მაგადანი, 15 თებერვალი. ჩვენი ქვეყნის არა მარტო თბილი ზღვების, არამედ ყინვიან რაიონებშიც იზრდება წყალქვეშა სპორტის მიმდევართა რიცხვი. შორეული აღმოსავლეთის ყველაზე ჩრდილოეთში — მაგადანში დღეს გაიხსნა ფეხფარფლიანთა კლუბი. აქვალანგისტებმა მას უწოდეს „სივუჩი" („ზღვის ლომი").

● ალმა-ათა, 15 თებერვალი. ბუნების ვერავითარმა მუხანათობამ ვერ შეაჩერა 13 მამაცი მთამსვლელი, რომლებმაც ზამთრის პირობებში პირველად დაიპყრეს ცენტრალური ტიან-შანის მარმარილოს განთქმული კედელი (ზღვის დონიდან 6400 მ). ექსპედიციის შემადგენლობაში 2 ქალიც იყო: ინჟინერი თ. პოსტნიკოვა და ტექნიკოსი გ. სვერდლინა. მარმარილოს კედელზე ასვლა-ჩამოსვლას ჯგუფმა 13 დღე მოანდომა.

● ბელგრადი, 16 თებერვალი. ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ლ. კრეზემ დღეს აქ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ საბოლოო მონაცემებით ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ 21 ქვეყნის ნაკრები გუნდები. იმ მატჩებზე, რომლებშიც გამოვლენ სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, კანადისა და აშშ-ის გუნდები, ყველა ბილეთი გაყიდულია.

# 11 გაზეთის 44 პასუხი

1. დაასახელეთ 1965 წლის ევროპის 5 უძლიერესი ნაკრები.

2. დაასახელეთ 1965 წლის 5 უძლიერესი საკლუბო გუნდი ევროპაში.

3. თქვენი აზრით, ვინ გავა მსოფლიო პირველობის ფინალში?

4. შეადგინეთ ევროპის ნაკრები 1965 წლის საუკეთესო მოთამაშეებისაგან

ამ 4 კითხვით მიმართა გერმანულმა ყოველკვირეულმა „ფუსბალვოხემ" ევროპის 11 სპორტული გაზეთის რედაქციას. ვათავსებთ ანკეტის შედეგებს.

### „ნაროდნ სპორტი"
(სოფია)

1. სსრ კავშირი, უნგრეთი, ინგლისი, იტალია, პორტუგალია.
2. „ინტერნაციონალე" (მილანი), „ბენფიკა" (ლისაბონი), „მილანი", „მანჩესტერ იუნაიტედი", „ფერენცვაროში" (ბუდაპეშტი).
3. ინგლისი — უნგრეთი.
4. იაშინი, ჟაილენსი, მესეი, ფაკეტი, ვორონინი, შნელინგერი, აუგუსტო, ეუსებიო, ასპარუხოვი, სუარესი, მესხი.

### „ლა გაზეტა დელო სპორტ"
(მილანი)

1. სსრ კავშირი, უნგრეთი, პორტუგალია, იტალია, ინგლისი
2. „ინტერნაციონალე", „ბენფიკა", „მანჩესტერ იუნაიტედი", „ლივერპული", „რეალი" (მადრიდი).
3. ინგლისი — სსრ კავშირი.
4. იაშინი, შნელინგერი, გუარნერი, ფაკეტი, ვორონინი, მოორი, აუგუსტო, რივერა, ეუსებიო, სუარესი, ბ ჩარლტონი.

### „სპორტულ პოპულარი"
(ბუქარესტი)

1. სსრ კავშირი, ინგლისი, უნგრეთი, იტალია, გფრ.
2. „ინტერნაციონალე", „ბენფიკა", „მანჩესტერ იუნაიტედი", „ანდერლეხტი", „ფერენცვაროში".
3. ინგლისი — ბრაზილია.
4. იაშინი, შნელინგერი, ჯ. ჩარლტონი, ფაკეტი, ვორონინი, მილდი, პირკალაბი, ეუსებიო, მაცოლა, ასპარუხოვი, მესხი.

### „ჩეხოსლოვენსკი სპორტი"
(პრაღა)

1. ინგლისი, უნგრეთი, სსრ კავშირი, პორტუგალია, იტალია.
2. „ინტერნაციონალე", „ბენფიკა", „მანჩესტერ იუნაიტედი", „რეალი", „გლაზგო რეინჯერსი".
3. ბრაზილია — ინგლისი.
4. იაშინი, ბურგნიჩი, პოპლუჰარი, შნელინგერი, ვორონინი, მასოპუსტი, ამანსიო, ეუსებიო, ზეელერი, სუარესი, ბ. ჩარლტონი.

### „ჰელსინგინ სანომატ ანდ ილტა სანომატ"
(ჰელსინკი)

1. იტალია, სსრ კავშირი, პორტუგალია, ინგლისი, გფრ.
2. „ინტერნაციონალე", „ბენფიკა", „რეალი", „ლივერპული", „მანჩესტერ იუნაიტედი".
3. იტალია — არგენტინა.
4. იაშინი, შნელინგერი, სტივენსონი, ფაკეტი, ვორონინი, მოორი, პეინი, ლოუ, ეუსებიო, სუარესი, მესხი.

### „დოიჩეს შპორტეხო"
(ბერლინი)

1. იტალია, სსრ კავშირი, ინგლისი, უნგრეთი, პორტუგალია.
2. „ინტერნაციონალე", „მანჩესტერ იუნაიტედი", „ბენფიკა", „რეალი", „სპარტა" (პრაღა) და „მიუნჰენ 1860".
3. ინგლისი — ბრაზილია.
4. იაშინი, ლალა, მესეი, ფაკეტი, ვორონინი, ბაქსტერი, ამანსიო, ეუსებიო, პ. დუკე, ლოუ, ბ. ჩარლტონი.

### „შპორტფუნკი"
(ვენა)

1. იტალია, უნგრეთი, ინგლისი, სსრ კავშირი, გფრ.
2. „ინტერნაციონალე", „ბენფიკა", „რეალი", „ფერენცვაროში", „მანჩესტერ იუნაიტედი".
3. ინგლისი — ბრაზილია.
4. პერეირა, გრეიგი, მესეი, ფაკეტი, კვაშნიაკი, ბაქსტერი, ჟაირი, ეუსებიო, მაცოლა, სუარესი, კორსო.

### „კეპეშ შპორტი"
(ბუდაპეშტი)

1. ინგლისი, უნგრეთი, იტალია, სსრ კავშირი, ესპანეთი.
2. „ინტერნაციონალე", „ბენფიკა", „რეალი", „ვაშაში" (ბუდაპეშტი), „მანჩესტერ იუნაიტედი".
3. ბრაზილია — ინგლისი.
4. ირიბარი, მატრაი, შესტერნიოვი, ფაკეტი, კოლუნა, შნელინგერი, მორა, მაცოლა, ალბერტი, ეუსებიო, ბ. ჩარლტონი.

### „იდროტსბლადეტი"
(სტოკჰოლმი)

1. ინგლისი, უნგრეთი, სსრ კავშირი, იტალია, გდრ.
2. „ინტერნაციონალე", „მანჩესტერ იუნაიტედი", „ატლეტიკო" (მადრიდი), „ანდერლეხტი", „მიუნჰენ 1860".
3. ინგლისი — ბრაზილია.
4. ბენქსი, კოენი, ჯ. ჩარლტონი, ფაკეტი, ვორონინი, მოორი, მეტრეველი, ლოუ, ვან ჰიმსტი, ეუსებიო, ბ. ჩარლტონი.

### „პშეგლონდ სპორტოვი"
(ვარშავა)

1. სსრ კავშირი, იტალია, ინგლისი, უნგრეთი, პორტუგალია.
2. „ინტერნაციონალე", „ლივერპული", „მანჩესტერ იუნაიტედი", „ბენფიკა" „სპარტა".
3. ინგლისი — ბრაზილია.
4. იაშინი, შნელინგერი, ჟერმანო, ფაკეტი, ვორონინი, სუარესი, მეტრეველი, ეუსებიო, მაცოლა, რივერა, ფოგელი.

### „ფუსბალვოხე"
(ბერლინი)

1. სსრ კავშირი, უნგრეთი, ინგლისი, იტალია, პორტუგალია.
2. „ინტერნაციონალე", „ბენფიკა", „მანჩესტერ იუნაიტედი", „ვესტ ჰემ იუნაიტედი", „სპარტა".
3. ბრაზილია — იტალია.
4. ვაიგანგი, მატრაი, სალვადორე, ფაკეტი, ბეკენბაუერი, მოორი, ჟაირი, ეუსებიო, პ. დუკე, ლოუ, მესხი.

## ● 5 საბჭოთა ფეხბურთელი ევროპის ნაკრებში...
## ● „ინტერნაციონალეს" — ქულათა მაქსიმუმი!

ამრიგად, პირველ შეკითხვაზე ქულები ასე განაწილდა:

1. სსრ კავშირი — 43, 2. ინგლისი—36, 3. უნგრეთი—35, 4. იტალია — 33, 5. პორტუგალია — 12, 6. გფრ—4, 7-8. გდრ და ესპანეთი — 1-1.

ქულათა მაქსიმუმი (55) მოაგროვა „ინტერნაციონალემ", რომელიც ერთხმადაა აღიარებული კონტინენტის საუკეთესო გუნდად. მომდევნო ადგილებზე არიან: „ბენფიკა" (37 ქულა); „მანჩესტერ იუნაიტედი" (28), „რეალი" (14), „ლივერპული" (8), „ანდერლეხტი (4), „ფერენცვაროში" (4), „ატლეტიკო" (3), „მილანი" (3), „სპარტა" (3) 2-2 ქულა ერგოთ: „ვესტ ჰემ იუნაიტედს", „ვაშაშს", „მიუნჰენ-1860-ს". „გლაზგო რეინჯერსმა" 1 ქულა მიიღო.

გაზეთების უმრავლესობამ მსოფლიო პირველობის ფინალისტებად აღიარა ბრაზილია და ინგლისი.

ევროპის ნაკრები ასე გამოიყურება: იაშინი (7 ქულა), შნელინგერი (4), მესეი (3), ფაკეტი (10), ვორონინი (8), მოორი (4), ამანსიო (2), ეუსებიო (7), მაცოლა (3), სუარესი (4), ბ. ჩარლტონი (5).

ევროპის ნაკრებში დასახელებულია 5 საბჭოთა მოთამაშე: იაშინი (7), შესტერნიოვი (1), ვორონინი (8), მეტრეველი (2) და მესხი (4).

## ✦ ვილის ვიზიტი ✦ მაყურებლებს მოემსახურებათ... ქაღალდი ✦ საწყალი ქმრები!










ფეხბურთის ციებ-ცხელება თანდათანობით იპყრობს მატერიკს. ევროპა დაავადებულია მსოფლიო ჩემპიონატის სენით. ეს ყველაზე მეტად ინგლისსა და მის დედაქალაქში იგრძნობა. ამაყად დააბიჯებს ლონდონის ქუჩებში ჩემპიონატის სიმბოლო — ლომი ვილი. ამჯერად იგი სტუმრად მივიდა ჩემპიონატის ორგანიზატორებთან — ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანს დ. ფოლოუზს ეწვია (მარცხენა სურათი). ვიზიტი ხანმოკლე გამოდგა: ვილიმ შეამოწმა ჩემპიონატისთვის მზადების მიმდინარეობა და კმაყოფილი დაშორდა გენერალურ მდივანს.

არ გეგონოთ, რომ შუა სურათზე აღბეჭდილი მამაკაცი რომელიმე ფირმის პროდუქციას უკეთებს რეკლამას. იგი უფრო საჭირო საქმითაა დაკავებული ფოტოგრაფიაზე გამოსახულ პროდუქციას წმინდა „აღმზრდელობითი" მნიშვნელობა აქვს. მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში ყოველგვარი ექსცესების თავიდან ასაცილებლად მაყურებლების სამსახურში იქნება მხოლოდ... ქაღალდის ნივთები. აი, სწორედ ქაღალდის ასეთი ჭიქით ხელში ხედავთ გენერალურ მდივანს.

საფეხბურთო ციებ-ცხელებას აჰყვა მოდების სამყაროც. მართალია, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ავსტრიის გუნდი არ მონაწილეობს, მაგრამ ეს ქვეყანა თავისებურად ეხმაურება ამ დიდ მოვლენას.

მოდის უკანასკნელი კივილი! ელეგანტური ქუდები ქალთათვის! ფეხბურთის მოყვარულო ქმრებო, შეიძინეთ თქვენი მეუღლეებისთვის ეს საჩუქარი!

საწყალი ქმრები, იმედგაცრუებული ავსტრიელი გულშემატკივრები! ისინი მორჩილად ეფლობიან რეკლამის ჭაობში და დილიდან საღამომდე გაშმაგებით დაეძებენ აი, ასეთ მოდურ ქუდებს (მარჯვენა სურათი).

## ფეხბურთი

### ინგლისის ჩემპიონატის ცხრილი

ინგლისის საფეხბურთო პირველობის ცხრილში დღეისთვის ასეთი მდგომარეობაა:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ლივერპული" | 30 | 63:25 | 45 |
| „ბერნლი" | 28 | 59:34 | 37 |
| „მანჩესტერ იუნაიტ". | 28 | 55:36 | 36 |
| „ლიდს იუნაიტედი" | 26 | 49:22 | 35 |
| „ტოტენჰემ ჰოტსპ." | 28 | 57:40 | 34 |
| „ჩელსი" (ლონდონი) | 25 | 41:53 | 32 |
| „სტოკ-სიტი" | 28 | 48:42 | 31 |
| „შეფილდ იუნაიტედი" | 28 | 39:40 | 31 |
| „ვესტ ბრომვიჩ ალბ". | 27 | 60:47 | 30 |
| „ლეისტერ-სიტი" | 27 | 52:48 | 29 |
| „ევერტონი" (ლივერ.) | 30 | 46:48 | 29 |
| „არსენალი" (ლონდ.) | 27 | 49:50 | 27 |
| „ნოტინჰემ ფორესტი" | 27 | 36:42 | 24 |
| „სანდერლენდი" | 27 | 35:50 | 24 |
| „ასტონ ვილა" (ბირმ.) | 26 | 43:44 | 23 |
| „შეფილდ უენსდეი" | 27 | 33:44 | 23 |
| „ნიუკასლ იუნაიტედი" | 27 | 33:46 | 22 |
| „ვესტ ჰემი" (ლონდ.) | 28 | 39:60 | 22 |
| „ბლეკპული" | 26 | 36:43 | 21 |
| „ნორთჰემპ. ტაუნი" | 29 | 35:71 | 18 |
| „ბლეკბერნ როვერზი" | 27 | 44:58 | 16 |
| „ფულჰემი" (ლონდ.) | 28 | 35:63 | 15 |

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

### 19 თებერვალს

თბილისის სპორტკავშირის შენობაში (კონსტიტუციის ქ. № 6) შედგება ფიზკულტურის კოლექტივების ფეხბურთელთა გუნდების მწვრთნელების, წარმომადგენლების, კაპიტნებისა და მსაჯთა აქტივის სხდომა.

ზემოხსენებულ პირთა დასწრება სავალდებულოა.

დასაწყისი 17 საათზე.

## ჩვენი ფოსტა

### ✧ მატჩზე... ნიუ-იორკიდან და ავსტრალიიდან

იტალიური პრესა ამტკიცებს, რომ გულშემატკივრობაში მსოფლიოს ჩემპიონები არიან ნეაპოლელები. როგორც ცნობილია, ამ ქალაქის გუნდი „ნაპოლი" წელს I ლიგაში გადავიდა და თავიდანვე მოექცა გათამაშების ლიდერთა ჯგუფში ბუნებრივია, რომ ნეაპოლელ გულშემატკივართა ტემპერამენტმა კიდევ უფრო იმატა

გასული ტურის მატჩს „ნაპოლისა" და „იუვენტუსს" შორის თან სდევდა იტალიური პრესის სენსაციური რეკლამა. მატჩისადმი ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ მრავალი გულშემატკივარი ჩამოვიდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. როგორც პრესა აღნიშნავს, ყველას აჯობეს ყოფილმა ნეაპოლელმა ვ. მევომ (იგი 10 წელიწადია ნიუ-იორკში ცხოვრობს), რომელიც სპეციალურად ჩამოფრინდა მატჩის საყურებლად და ტ. მარიეტიმ (1932 წელს იგი „ნაპოლის" კარს იცავდა), რომელიც ავსტრალიიდან ჩამოფრინდა.

ИНДЕКС 66148

საქ კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05851